



შპს სიო

სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალების შექმნა, ნედლეულის შენახვის და გახარჯულის აღრიცხვის პროცედურა და სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაციის წესი

2020 წელი

სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალების შექმნა, ნედლეულის შენახვის და გახარჯულის აღრიცხვის პროცედურა და სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაციის წესი

მუხლი 1. სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალების შექმნა, ნედლეულის შენახვის და გახარჯულის აღრიცხვის პროცედურა

1. მოდულურ პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის, პროგრამაში შემავალი მოდულების მასალებისა და ნედლეულის ნაწილის გათვალისწინებით სამეურნეო სამსახურის მენეჯერი დირექტორის დავალებით ახორციელებს მასალებისა და ნედლეულის შესყიდვას მოდულის დაწყებამდე და მოდულის განმახორციელებელი პირისათვის გადაცემას;
2. თუ მოდულის პრაქტიკული მეცადინეობა ტარდება პრაქტიკის ობიექტზე კოლეჯი მასალებისა და ნედლეულის შექმნას იმ მოდულის ფარგლებში არ ახორციელებს.
3. მასალებისა და ნედლეულის შექმნისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მათი ვარგისიანობის ვადა, მათი გამოყენების მომენტისათვის;
4. მასალებისა და ნედლეულის შენახვა ხორციელდება შესაბამის ინსტრუქციებში მითითებული შენახვის წესების დაცვით;
5. მოდულის დასრულებისას მოდულის განმახორციელებელი პირების ჩართულობით ხორციელდება გახარჯული მასალებისა და ნედლეულის შესახებ ანგარიშგება.

მუხლი 2. სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია

1. სასწავლო მიზნებისათვის ორგანიზებულ ტექნოლოგიურ პროცესში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია ხორციელდება სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილი ნარჩენების უტილიზაციის წესების დაცვით ასეთის არსებობის შემთხვევაში. სხვა შემთხვევაში უტილიზაცია ხორციელდება იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს გარემოს და გარშემომყოფ პირებს;
2. კოლეჯის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვება ხდება სასწავლო სივრცეში სანაგვე კონტეინერებში;
 - ა) სახიფათო ნარჩენები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დროებით ინახება კოლეჯის ტერიტორიაზე და შემდეგ ხდება წესების დაცვით უტილიზაცია,
 - ბ) უსაფრთხო ნარჩენები შეიძლება ჩაიყაროს მუნიციპალური ნარჩენებისათვის განკუთვნილ კონტეინერებში.
3. ნარჩენების შეგროვებაზე დაუტილიზაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება დაწესებულებას.